

# ფინანსური განათლება ყველასათვის

გზამკვლევი



ფონდი კრისტალი  
CRYSTAL FUND

თბილისი  
2014 წ.

ფინანსური განათლება საერთაშორისო მასშტაბით სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში. თითოეული ჩვენთაგანის მზადყოფნა, მართოს პირადი ფინანსები, უმეტესწილად განსაზღვრავს ჩვენს ფინანსურ სტაბილურობას და წარმატებას. საქართველოში საზოგადოებას დღეს როგორც არასდროს სჭირდება ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცოდნა, ზოგადი წარმოდგენა, თუ როგორ დაგვემოს და მართოს პირადი სესხი, როგორი პირობები აირჩიოს დაზღვევის, ანაბრის თუ სხვა ფინანსური სერვისის გამოყენებისას. მოქალაქის ცნობიერებაზე ბევრია დამოკიდებული, რადგან ფინანსური გადანაცვტილებების მიღება ყოველდღიურად ხდება და ამ გადანაცვტილებებს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ნებისმიერი ჩვენთაგანის ცხოვრებაზე.

ფონდი “კრისტალი” გამოდის ინიციატივით ხელი შეუწყოს ამ საკვანძო ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას და სათანადო პრაქტიკის დანერგვას, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა მეტი თავდაჯერებით მართონ თავიანთი ფინანსები და ამით უზრუნველყონ პირადი ეკონომიკური სტაბილურობა და წარმატება.

ვიმედოვნებთ, წინამდებარე ბროშურა ამაში კარგ სამსახურს გაგიწევთ. წარმატებებს გისურვებთ!



ფონდი კრისტალი  
CRYSTAL FUND



ფონდი კრისტალი  
CRYSTAL FUND

## ფინანსური სტაბილურობა

ფინანსურ სტაბილურობაში უპირველესად მოიაზრება ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე - ახალგაზრდობიდან პენსიის ასაკის ჩათვლით - მისი მიზნებისა და საჭიროებებისათვის აუცილებელი ფულის ხელმისაწვდომობა. რა ეკონომიკურ საქმიანობასაც არ უნდა ვენოდეთ (დაქირავებული შრომა, მენარმეობა, შემოქმედება თუ სხვა), შეუძლებელია შემოსავლები ყოველთვის ზუსტად აკმაყოფილებდეს ფინანსურ მოთხოვნებს. პირველ რიგში შემოსავლები ყოველთვის სტაბილური არ არის, მეორეს მხრივ, შესაძლოა გაჩნდეს დაუგეგმავი ფინანსური გასავალი, გამონვეული გაუთვალისწინებელი ხარჯით (მაგალითად, სახლში დაზიანების შეკეთება, სამედიცინო საჭიროება თუ სხვა), ან მიმზიდველი ეკონომიკური შესაძლებლობით, მაგალითად უძრავი ქონების შეძენა ან მცირე ბიზნესში ინვესტირება. ამიტომ აუცილებელია იმ ფინანსური პროდუქტების ცოდნა და მათი გონივრული გამოყენება, რომელიც დაგეხმარებათ ხელი მიგიწვდებოდეთ საჭირო დონის, საჭირო რაოდენობის ფინანსებზე.

ფინანსური სტაბილურობა მოითხოვს ფინანსების სათანადო დაგეგმარებას, ბიუჯეტის კონტროლსა და სხვადასხვა ფინანსური პროდუქტების რაციონალურ გამოყენებას. ფულის გონივრულ მოხმარებას დიდი სარგებელი მოაქვს. ფულის გაუცნობიერებელ ხარჯვას კი - როგორც წესი - ფინანსური პრობლემები მოსდევს. როგორ ვიყენებთ ფულს? ყველამ კარგად ვიცით რომ შესაძლებელია ფულის დახარჯვა, შენახვა ან დაბანდება.

ფინანსური მომსახურების ყველაზე გავრცელებული სახეებია:

- o გადახდები
- o ანაბრები
- o სესხები
- o დაზღვევა
- o ინვესტირება

ამ მომსახურებათა ცოდნა და იმ ორგანიზაციებთან სწორი ურთიერთობების დამყარება, რომლებიც ამ მომსახურებების მიმწოდებლებს წარმოადგენენ ჩვენი ინტერესების დაცვისა და ფინანსური სტაბილურობის მიღწევის წინაპირობაა.

## დაბეგმვა და ბიუჯეტირება

რამდენად ვაცნობიერებთ, რომ უმეტესწილად სწორედ ჩვენზეა დამოკიდებული, რა ბედი ეწევა ჩვენ ფინანსებს? ფული, რომელსაც ვმოულობთ, შეგვიძლია:

- ა) დავხაროჯოთ, ანუ მოვიხმაროთ ამა თუ იმ საჭიროებისათვის;
- ბ) დავზოგოთ, ანუ გავდადოთ მომავლისთვის და
- გ) მოგების მიღების მიზნით დავაბანდოთ, ანუ განვახორციელოთ ინვესტიცია.



ყველა აღნიშნულ ეტაპზე ფინანსების სწორი მართვა დიდწილადაა დამოკიდებული პირადი ფინანსების დეტალურ ცოდნასა და კონტროლზე. ამისათვის კარგად უნდა ვერკვეოდეთ ჩვენს შემოსავლებსა და ხარჯებში და მუდმივად ვაწარმოოთ დაკვირვება საკუთარ ფინანსებზე. თუმცა საკუთარი ფინანსური მდგომარეობის ცოდნა არაა საკმარისი. ასევე კრიტიკულად უნდა ვათვასებდეთ საკუთარ ფინანსურ ეფექტურობასაც: რა ფინანსური ეფექტი მოაქვს ჩვენს ეკონომიკურ საქმიანობას.

მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია დავსახოთ ფინანსური ამოცანები. აღნიშნული ამოცანები რასაკვირველია უნდა გამომდინარეობდეს პირადი ამოცანებიდან და იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალური და დროში განსაზღვრული.

ფინანსური ამოცანების დასახვა ნებისმიერი ფინანსური მდგომარეობის პირობებშია აუცილებელი. სხვა სიტყვებით, მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის შემოსავლების დონეს. მთავარია სწორი მიდგომის გამომუშავება ფინანსების მიმართ, რაც ფინანსური წარმატების საწინდარია. ამოცანების დასახვასთან ერთად არსებითია მათ შესრულებაზე მუდმივი კონტროლი, რაც უმთავრესად ფინანსებზე რეგულარულ დაკვირვებას, ნებისყოფას და ფინანსურ დისციპლინას გულისხმობს.

ბიუჯეტი არა მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვას მოიცავს, არამედ გულისხმობს ფინანსური გეგმის შესრულებაზე კონტროლს. ბიუჯეტირებისას ყველა რეგულარული ხარჯის ცოდნა და მათი ანალიზი გვემართებს. რამდენად აუცილებელია ეს ხარჯი? რა სარგებელს გვაძლევს ის? შესაძლებელია თუ არა ნაკლები ხარჯით იგივე სარგებლის მიღება? ასეთი კითხვები გვეხმარება ზედმეტი ხარჯების შემცირებასა და ფინანსების უფრო ეფექტურად გამოყენებაში. ბიუჯეტი ისე უნდა შევადგინოთ, რომ ჩვენი შემოსავლებით ვახერხებდეთ ხარჯების დაფარვას. წინააღმდეგ შემთხვევაში შემოსავლის დამატებით წყაროებზე ზრუნვა, ან შემოსავლის მომატებამდე ჩვენი ცხოვრების სტილის შემოსავლებზე მორგება მოგვინევს. ეს აგვაცილებს ქონების (კაპიტალის) შემცირებას ან საკრედიტო ტვირთის ხარჯზე ცხოვრებას. მნიშვნელოვანია გვეჩინდეს გეგმა, თუ როდის და რა გზებით მიაღწევთ საჭირო ნიშნულს და შევძლებთ ფინანსური ამოცანების შესრულებას. როგორც ვხედავთ, ფინანსების სწორი მართვა მოითხოვს ცხოვრების სტილის, აქედან გამომდინარე კი ხარჯების შემოსავლებთან მორგების, ფინანსური დაგეგმარების და ბიუჯეტის ეფექტურ კონტროლს.

## დაზოგვა

დაზოგვა ფინანსების მართვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ფინანსური წარმატების საწინდარს წარმოადგენს. რაც არ უნდა მცირე იყოს ჩვენი შემოსავალი, უნდა ვეცადოთ საკუთარ ბიუჯეტში გავითვალისწინოთ დანაზოგის გაკეთება - სასურველია შემოსავლების 10%-ის ფარგლებში მაინც. კარგია, როცა დაზოგვა ჩვევად გვექცევა და



ამას მუდმივად ვაკეთებთ. დაზოგვისთვის, კარგია, თუ შემოვიღებთ წესს, რომ შემოსავლიდან პირველ რიგში (ვალის გასტუმრებამდე და ხარჯების განწესამდე) დანაზოგისთვის გადავდებთ ფულს.

დანაზოგი კონკრეტული მიზნით უნდა კეთდებოდეს. წინასწარ უნდა დაიგეგმოს, თუ რა თანხის დაგროვებას ვაპირებთ და რამდენ ხანში. დაზოგვის მიზნით შეიძლება გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის რეზერვების შექმნა, რასაც ტრადიციულად „შავი დღისთვის“ დანაზოგსაც უწოდებენ. მისი ზომა შეიძლება განისაზღვროს 3 ან 6 თვის საშუალო ხარჯით. შემოსავლების შემცირებისას ან მისი დაკარგვის შემთხვევაში კი გვექნება ერთგვარი “ფინანსური ბალიში”, რაც მიმდინარე ვალდებულებების უმტკივნეულოდ გასტუმრების საშუალებას და რაც მთავარია დროს მოგვცემს ახალი შემოსავლების მისაღებად.

დანაზოგის მიზანი ასევე შეიძლება იყოს კონკრეტული ფინანსური ამოცანის დაფინანსება, მაგალითად, სასწავლებლად, რაიმე ნივთის შესაძენად, ან თუნდაც მცირე ბიზნესის დასაწყებად ფულის დაბანდებას. დანაზოგის შექმნა გარკვეულ დროს მოითხოვს, ამიტომ ბიუჯეტის დაგეგმვისას რეალურად უნდა განვსაზღვროთ, რა თანხის დაზოგვას შევძლებთ ყოველთვიურად და რა დრო დაგვჭირდება სასურველი თანხის მობილიზებისთვის.

მას შემდეგ, რაც დაზოგვას ვიწყებთ, მოსაფიქრებელი გვაქვს დანაზოგის უსაფრთხოების საკითხები. ბევრი სწორედ იმიტომ ამბობს უარს დანაზოგის გაკეთებაზე, რომ ხედავს დანაზოგის არასასურველი მიზნისთვის დახარჯვის, თანხის გასესხების ან გაუფასურების საფრთხეს. ამისთვის კი ზუსტად უნდა განვსაზღვროთ ის წესები და პირობები, თუ როდის გამოვიყენებთ ამა თუ იმ დანაზოგს. ფინანსური დისციპლინა და ნებისყოფა არა მხოლოდ თანხის დაგროვებისას, არამედ მისი რაციონალური ხარჯვის დროსაც გვჭირდება. გონივრულია თანხის თუნდაც გარკვეული ნაწილის საბანკო ანაბარზე განთავსება, რაც ნაღდი ფულის შენახვასთან შედარებით გაცილებით უსაფრთხოა, ხოლო დარიცხული სარგებელი ჩვენს დანაზოგს ინფლაციის გამო გაუფასურებისგან დაცავს. გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფო, ეროვნული ბანკის მეშვეობით, მკაცრ მდამხედველობას უწევს კომერციულ ბანკებს, რათა მათ შეძლონ შენახბრეთა თანხების დროული გასტუმრება. თუმცა იდეალურად ფულის დაცვა შეუძლებელია, ამიტომ გონივრულია მისი „სხვადასხვა ადგილას“ შენახვა. იგივე ეხება ვალუტას, რომელშიც დანაზოგს ვაკეთებთ. იმის გამო, რომ ვალუტის კურსის ცვლილების პროგნოზირება სავსაშუალოდ რთულია, რაციონალურია დანაზოგის ერთზე მეტ ვალუტაში განთავსება. ეს დაგვიცავს რომელიმე ერთი ვალუტის შესაძლო გაუფასურებით გამოწვეული ზარალისგან.

ბანკთან ურთიერთობისას ყურადღებით უნდა გავეცნოთ მისი ანაბრის პირობებს. ყურადღება უნდა მივაქციოთ ანაბარზე დასარიცხი სარგებლის ზომას,



ვალუტას, ანაბრის ტიპს, თანხის ვადაზე ადრე გატანის პირობებს. ბანკთან კონსულტაციის შემდეგ შესაძლოა რამდენიმე ანაბარი გავხსნათ ჩვენი კონკრეტული ფინანსური ამოცანების შესაბამისად. ანაბრის პირობები და თანხის ხელმისაწვდომობის განზრახ შემლუღვა დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ დაუგეგმავი ხარჯი და მნიშვნელოვნად წაადგება ჩვენს ფინანსურ დისციპლინას. დაზოგვას თუ სწორად ვახერხებთ, ეს ჩვენს გამართულ ფინანსურ მართვაზე მიანიშნებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს დაზოგვის მასშტაბს ან თანხის მოცულობას. მთავარია, შევძლოთ მიზნის დასახვა, წესის შემოღება მისი დაცვა სასურველი თანხის დაგროვებამდე.

### რისკების მართვა და დაზღვევა

რისკი არის იმ არასასურველი მოვლენების ალბათობა, რომელსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე. რისკებმა შესაძლოა გავლენა იქონიონ ჩვენს შემოსავლებზე მათი შემცირების ან საერთოდ შემოსავლის წყაროს დაკარგვის სახით. რისკები ასევე შეიძლება დაემუქროს ჩვენს ქონებას, დანაზოგს, როცა ადგილი აქვს აღნიშნული აქტივის დაზიანებას, დაკარგვას ან გაუფასურებას. რასაკვირველია რისკებმა შესაძლოა დაუგეგმავი ხარჯებიც გამოიწვიოს.

შეუძლებელია ყველა რისკის განჭვრეტა და თავიდან მათი სრული აცილება, მაგრამ შესაძლებელია რისკების შემცირება და მართვა. ამისთვის პირველ რიგში უნდა მოვახდინოთ კონკრეტული სიტუაციის, გარემოს და რისკების გაანალიზება და დავადგინოთ ხომ არ შეგვიძლია რაიმე მოქმედებებით ან რამეს შეცვალოთ შევამციროთ რისკი. მეორეს მხრივ, არსებობს აქტუალური რისკებისგან თავის დაზღვევის შესაძლებლობა. სადაზღვევო პროდუქტების გონივრული გამოყენებით ხარჯთ-ფიქტურად შეგვიძლია ფინანსური გეგმის არასასიამოვნო მოულოდნელობისგან დაცვა.

სადაზღვევო პროდუქტებიდან ფართოდ გავრცელებული და ბაზარზე უკვე აპრობირებულია ჯანმრთელობის, ქონების, ავტომობილის და მოგზაურობის დაზღვევა. დაზღვევის შექმნამდე სათანადოდ უნდა გავარკვიოთ სადაზღვევო პოლისის პირობები, შევადაროთ ერთმანეთს სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის შემოთავაზება და ავირჩიოთ ის სადაზღვევო პაკეტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ჩვენი რისკის თავისებურებებს და ბიუჯეტს. რაციონალურად შექმნილი სადაზღვევო პოლისი სრულიად არ არის ზედმეტი ხარჯი. ის ჩვენი ფინანსური უსაფრთხოებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ბრძნული ნაბიჯია.

### სასხაბის მართვა

რა დროს ვიღებთ სესხს? როგორც წესი, მაშინ, როცა ფინანსური ამოცანის დროულად დაფინანსებას ვერ ვახერხებთ საკუთარი სახსრებით. სესხის აღებისას



კრედიტორს ვაძლევთ უფლებას და უპირატესობას მიიღოს ჩვენი მომავალი შემოსავლის ნაწილი, რომელიც დასჭირდება სესხის თავნის და პროცენტის გასტუმრებას. თუ სესხის ოდენობა დიდია, მაშინ სავარაუდოდ გვინევს მისი გირაოთი უზრუნველყოფა. ეს კი გულისხმობს კრედიტორის უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, გაყიდოს გირაოში ჩადებული ჩვენი ან ჩვენი ახლობლის ქონება. სესხის გადახდის გრაფიკის დარღვევა კრედიტორს საშუალებას აძლევს გამოაცხადოს დეფოლტი და მოითხოვოს სესხის სრული თანხის (ჯარიმა, პროცენტი, თავნი) სასწრაფო დაბრუნება, რისთვისაც შეუძლია გირაოში ჩადებული ქონების რეალიზაცია მოახდინოს.

ცხადია სესხის აღება ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა და მას უნდა მივმართოთ მხოლოდ ფინანსური ამოცანის მედმიწვევით კარგად გააზრების შემდეგ. ასევე ყურადღებით მოგვინევს არჩევანის გაკეთება, თუ ვინ გახდება ჩვენი კრედიტორი და ვისთან მოგინევთ ამ მეტად საპასუხისმგებლო და ზოგჯერ გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება.

საკრედიტო მიზანი მრავალფეროვანია. სხვადასხვა სასესხო პროდუქტი შეგვიძლია მივიღოთ ისეთი დაწესებულებებიდან, როგორიცაა კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, ლომბარდები და საფინანსო ორგანიზაციები. ფულის სესხება ასევე შესაძლებელია კერძო პირებისგანაც. ნებისმიერ აქ ჩამოთვლილ მომავალ კრედიტორთან ხელშეკრულების ხელმოწერამდე ყურადღებით უნდა გავეცნოთ ისეთ პირობებს, როგორიცაა:

- o სესხის მოცულობა, ვალუტა და საპროცენტო განაკვეთი
- o სესხის ვადა და გადახდის გრაფიკი
- o მოთხოვნილი თანამონაწილეობა (ხშირია იპოთეკურ სესხებზე)
- o გირაო ანუ უზრუნველყოფა
- o ჯარიმის და პირგასამტეხლოს პირობები
- o საკომისიოს, დოკუმენტაციის გაფორმების ხარჯები, სესხის მისაღებად საჭირო

დროსა და დამატებით მოთხოვნები, როგორცაა მაგალითად გირაოში ჩადებული ქონების დაზღვევა

- კრედიტორის რეპუტაცია, განსაკუთრებით პრობლემურ სესხებთან მისი დამოკიდებულება

ყოველთვის მიზანშეწონილია სესხის შემოთავაზება ორი ან მეტი პოტენციური კრედიტორისგან მივიღოთ. ეს საშუალებას მოგვცემს მიღებული წინადადებები ერთმანეთს შევადაროთ და აუჩქარებლად სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ჯეროვნად განვიხილოთ და მოლაპარაკება ვაწარმოოთ ყველა დეტალზე, ამიტომ რაც უფრო მეტი დრო გვაქვთ სესხის ასაღებად, მით უკეთესი პირობების მიღება შეგვიძლია.

უნდა გვახსოვდეს, რომ სესხის საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია





მოცემულ მომენტში არსებულ განაკვეთებზე, მაგრამ ასევე კრედიტორის მიერ სესხის რისკის აღქმაზე (საკრედიტო რისკი). ამიტომ უნდა ვეცადოთ, კარგად დავასაბუთოთ ჩვენი გადახდისუნარიანობა და მოვძებნოთ გზები საკრედიტო რისკის შესამცირებლად. მაგალითად, თუ ერთიანად არ გვჭირდება დიდი თანხა, მიზანშეწონილია სესხის ტრანშებად მიღება მოვითხოვოთ, რათქმუნდა, უდიდესი მნიშვნელობა სესხის დამტკიცებისას ენიჭება ჩვენ საკრედიტო ისტორიას და ბიზნეს-რეპუტაციას.

საკმაოდ ხშირია სირთულეები არსებული საკრედიტო ვალდებულებების გატუმრებისას, როცა მსესხებლის შემოსავალი არასაკმარისია, ხოლო პროცენტი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. ეს ჭარბი საკრედიტო ტვირთის ნიშნებია. მის შესამსუბუქებლად ზრუნვა რაც შეიძლება ადრე უნდა დავიწყოთ - მანამ, სანამ გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები იჩენს თავს. ამისათვის დროულად უნდა მივმართეთ ჩვენს კრედიტორს. თუ რამდენიმე სესხი გვაქვს, შესაძლებელია მათი კონსოლიდაცია, ანუ უფრო გრძელვადიანი და შედარებით დაბალპროცენტიანი სესხით არსებული სესხების ჩანაცვლება.

### ინვესტირება

ხშირად ვერ ვაცნობიერებთ, რომ გარკვეულწილად ყველა ჩვენთაგანი ინვესტორია. ყოველდღიურად ვიღებთ გადანყვეტილებებს, რაში დავაბანდოთ ჩვენი დრო და ფული. ინვესტიცია - მოგების მიღების მიზნით ფულის დაბანდებაა. ინვესტიციის მაგალითებია სწავლაში ჩადებული თანხა, უძრავი ქონების შეძენა, რასაკვირველია მცირე ბიზნესის ან ფერმერული მეურნეობის შექმნა - გაფართოვება, ან სწარმო აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა. რაც უფრო მაღალია მოსალოდნელი მოგება, მით მეტ რისკზე წასვლისთვის ვართ მზად. ამიტომ, საინვესტიციო გადანყვეტილება უმდა ეფუძნებოდეს თითოეული საინვესტიციო პროექტიდან მოსალოდნელი მოგებისა და რისკის შეფასებას. მაგრამ არც მომგებიანობა და არც რისკიანობაა ბოლომდე ნათელი და განსაზღვრული, ამიტომ ყველა ინვესტორს უნევს ინვესტიციის სათანადო ანალიზი და მისი შედეგების პროგნოზირება. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს საინვესტიციო ალღოს და უნარს განსჭვრიტოთ ინვესტიციის პერსპექტიულობა, შეაფასოთ იმ ადამიანების უნარი, ვინც პასუხისმგებელი იქნება მის მართვაზე და ივარაუდოთ ის საფრთხეები, რომლებიც შესაძლოა დაემუქროს პროექტს.

ყველა საინვესტიციო შესაძლებლობას სათანადო სერიოზულობით უნდა მივუდგეთ. აუცილებელია კარგად იცნობდეთ ინვესტიციის სფეროს და არჩეულ ბიზნეს-სექტორს. მაქსიმალურად შეეცადეთ შეაგროვოთ ინფორმაცია და გაანალიზოთ ამ ინვესტიციის მომგებიანობა და რისკიანობა. ამასთან გაითვალისწინეთ როდის





მიიღებთ მოგებას, რადგან ფინანსებში არსებობს ერთი აღიარებული ჭეშმარიტება: “ერთი ლარი დღეს სჯობია ერთ ლარს ხვალ”.

ყველა ბრძენი ინვესტორი მიმართავს დივერსიფიკაციას, რომელიც გულისხმობს კაპიტალის განსხვავებულ ინვესტიციებზე გადანაწილებას: „ნუ ჩააწყობთ ყველა კვერცხს ერთ კალათში“ - ამ წესის დაცვა სასარგებლოა ნებისმიერი ზომის ინვესტორისთვის.

## ელემენტარული ფული

დღეს უკვე აღარ გვჭირდება ნაღდი ფული იმისთვის, რომ მივიღოთ ან გავაგზავნოთ ფული, გადავიხადოთ სავაჭრო ან მომსახურების ობიექტში, დაწესებულებაში ან დაფვაროთ კომუნალური გადასახადები. აღარც ბანკში მისვლა გვჭირდება, შესაბამისად დროს და ძალისხმევას აღარ დავკარგავთ მგზავრობასა და რიგში დგომისთვის. დღეს, როცა არსებობს მობილური და ინტერნეტ გადახდის საშუალებები, შეგვიძლია თითქმის ყველა ფინანსური ოპერაცია უკვე ინტერნეტით ან საკუთარი მობილური ტელეფონით ნებისმიერ დროს ნებისმიერი ადგილიდან შევასრულოთ.

აშკარაა, რომ ინტერნეტბანკინგი და მობილური საფულე მოხერხებულობით, სისწრაფით და გადახდისათვის საჭირო ძალისხმევით ნაღდ ფულზე უკეთესია. გარდა ამისა, ასეთ გადახდებს კიდევ ერთი სერიოზული უპირატესობა გააჩნია - უსაფრთხოება. ნათელია, რომ ნაღდი ფულის შენახვა და ტარება არ არის უსაფრთხო, რადგან დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში ფული არ ტოვებს კვალს. ელექტრონული ფული კი შეუძლებელია გაქრეს, ის აუცილებლად ერთი ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე უნდა მოხვდეს, რა დროსაც ის მონაცემთა დიდ „კვალს“ ტოვებს. ამიტომ ელექტრონული ფული და მასზე დაფუძნებული მობილური საფულე საკმაოდ უსაფრთხოა, თუ მომხმარებლის მიერ დაცულია უსაფრთხოების ზომები. აღნიშნული წესები საკმაოდ მარტივია: საიდუმლოდ შეინახეთ პინ-კოდი, ხოლო მისი და მობილური ტელეფონის ან პლასტიკური ბარათის დაკარგვის შემთხვევაში დროულად დაუკავშირდით პროვაიდერს.

## მიზრაცხი და ფინანსები

ეკონომიკური შესაძლებლობების სიმცირე საქართველოში ბევრ ადამიანს უბიძგებს შემოსავლის წყარო საზღვარგარეთ მოიძიოს. ეკონომიკური მიგრაცია ფინანსურად საკმაოდ მიმზიდველი შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ მას ხშირად ბევრი რისკი ახლავს თან. მიგრაციაში წასვლა გარკვეულ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს. ამიტომ ინვესტიციის განხორციელებამდე სათანადოდ უნდა დავთვალოთ მოსალოდნელი მოგება და ავზონ-დავზონით რისკები.



რისკები მიგრაციის ყველა ეტაპზე - მომზადებიდან შინ დაბრუნებამდე - არის შესაფასებელი. საზღვარგარეთ წასვლის მცდელობაში ბევრი ადამიანი კარგავს დანაზოგს, ზოგჯერ კი ნასესხებ ფულსაც კი. უარეს შემთხვევაში კი ეს ტრეფიკინგით შეიძლება დასრულდეს. აუცილებელია ფინანსური რისკების გათვლა და ალტერნატიული ვარიანტების შემუშავება ისეთი შემთხვევებისთვის, როცა მაგალითად პრობლემას წავაწყდებით გზაში, სამსახურის პოვნისას ან მისი დაკარგვის შემთხვევაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და სხვა ყოველდღიური რისკების გათვალისწინებაც.

რისკების დეტალური ანალიზის გარდა, უნდა გამოვთვალოთ, თუ რა მოგებას გვპირდება საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა. დეტალურად დავიანგარიშოთ მიგრაციაში ყოფნის ბიუჯეტი და მოსალოდნელი შემოსავალი, რომლის ნაწილის გამოგზავნაც დიდი ალბათობით ოჯახისთვის გვსურს. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის დამატებით ხარჯები და რისკები, რომლებიც შესაძლოა ჩვენმა საქართველოში არყოფნამ გამოიწვიოს. ბოლოს, სასურველია მიღებული შედეგი ფინანსურად შევადაროთ ამჟამინდელ ეკონომიკური საქმიანობის შედეგს და ყველა რისკის გათვალისწინებით მივიღოთ რაციონალური გადაწყვეტილება. ცხადია, რომ მიგრაციაში წასვლა განუსაზღვრელობებითაა აღსავსე. რთულია, ზუსტად დავადგინოთ ყველაფერი და რეალისტურად გამოვიანგარიშოთ ფინანსური შედეგები, ამიტომ ბოლომდე რაციონალური (დაანგარიშებული) გადაწყვეტილება რეალურ ცხოვრებაში ხშირად არ გამოდის. ამიტომ აქაც საკუთარ ინტუიციას და საინვესტიციო ალღოს უნდა მოვუხმოთ, გავამყაროთ ჩვენი გადაწყვეტილება სათანადო მსჯელობით და ანალიზით. რამდენადაც ეს შესაძლებელია, მივიღოთ რაც შეიძლება ბევრი გამოცდილი ადამიანის რჩევა.

თუ დავრწმუნდით საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის მართებულობაში, აუცილებლად ნათლად უნდა დავსახოთ ჩვენი ფინანსური ამოცანები. მიგრაციაში ყოფნისას კი რეგულარულად ვაკონტროლოთ ჩვენი ფინანსები. საზღვარგარეთ გარკვეული პერიოდით მუშაობა ხშირ შემთხვევაში მიზნად ისახავს სახლში დაგროვებული ვალების გასტუმრებასა და საქართველოში დარჩენილი ოჯახის დახმარებას. თუმცა კარგია, ამ საბაზისო ამოცანების გარდა თუ მიგრაციის პირველ ეტაპზევე დავიწყებთ დანაზოგის შექმნას. ეს თავისთავად შესაძლო ფინანსური რისკებისგან თავის დაცვის საშუალებას მოგვცემს; მომავალში კი შევძლებთ, განვახორციელოთ ერთი ან რამდენიმე ინვესტიცია, რაც საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების წინაპირობას შეგვიქმნის.

საზღვარგარეთ ხანგრძლივი პერიოდით ყოფნისას დავგვიდებთ სრულფასოვანი ფინანსური მომსახურება, მათ შორის ფულადი გზავნილები, საბანკო ანგარიში, სესხი და დაზღვევა. შესაძლოა, დისტანციაზე საინვესტიციო პროექტების



განხილვა და მათზე გადაწყვეტილებების მიღებამაც მოგვიწიოს. თანამდეროვე ტექნოლოგიები, როგორცაა მობილური ფინანსები და ინტერნეტ-ბანკი საშუალებას გვაძლევს ვმართოთ ჩვენი ფინანსები უცხოეთიდან. მთავარია, მიგრაციამდე ყველაფერი სათანადოდ დავგეგმოთ და მოვამზადოთ.

### მოკლე ინფორმაცია ფონდ „კრისტალზე“

ფონდი „კრისტალი“ არის ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის ერთერთ მთავარ მიზანს მომხმარებელთა ფინანსური ჩართულობა და განათლება წარმოადგენს. ფონდი „კრისტალი“ პოპულარიზაციას უწევს მოქალაქეების ფინანსური სტაბილურობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ფინანსური ამოცანების დასმა, ბიუჯეტირება, დანაზოგები, რისკების მართვა, სესხის აღება, ინვესტირება, გადასახადები, პენსიები და მიგრაციასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები.

მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის N 5

[www.crystalfund.ge](http://www.crystalfund.ge)



